შპს "მარნეულის სოფწყალი"
434158163 საქართველო, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73

"MARNEULIS SOPTSKALI" LTD
434158163 73 str. Rustaveli, Marneuli, Georgia

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 21
14/03/2019

21-0-4-201903141455

გადაუდებელი აუცილებლობით გადამქაჩი სექციური ტუმბოს აღდგენა - შეკეთების სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის გზით შესყიდვის შესახებ

2019 წლის 11 მარტს შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საკუთრებაში არსებულ სოფ კაჩაგნის სატუმბო სადგურზე გადამქაჩი სექციური ტუმბოს (60 $მ^3$/სთ) დაზიანების (ექვემდებარება აღდგენა - შეკეთებას) და აქედან გამომდინარე მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტასთან დაკავშირებით, შ.პ.ს. @“ მარნეულის სოფწყალი „–ს წესდების მე–6 მუხლის და „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე– 10^1 მუხლის მე – 3 პუნქტის „ ბ „ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების მე – 3 მუხლის პირველი პუნქტის „ ბ „ ქვეპუნქტის, მე – 4 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის თანახმად, შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორის მოადგილის ალექსი მამუკაშვილის 2019 წლის 13 მარტის (შემ № 34) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვანი სასმელი წყლის მიღების მიზნით, განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული 60 $მ^3$/სთ წარმადობის და 320 მ აწევის სიმაღლის სექციური ტუმბოს აღდენა - შეკეთების შესყიდვა;
2. ბრძანება შესასრულებლად გადაეცეს შ.პ.ს. @“ მარნეულის სოფწყალი „–ს ფინანსურ მენეჯერს (მთავარ ბუღალტერს) თ. დარბაიძეს და შესყიდვების კოორდინატორს ნ. ლომიძეს;
3. ინფორმაცია გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნაბი აბდულაევი _____

დირექტორი